



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011733010394418

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 158394

05 / აპრილი / 2018 წ.

გადაწყვეტილება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, არხილოსკალოს ადმინისტრაციულ ერთეულში N 040, 041, 058, 082, 087, 095, 096, 107 და არბოშიკის ადმინისტრაციულ ერთეულში N006, 011, 022, 025, 028, 036, 042, 044, 050, 055, 059, 061, 064, 103, 112, 116 სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკების, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, არხილოსკალოს N 040, 041, 058, 082, 087, 095, 096, 107 და სოფელ არბოშიკის N 006, 011, 022, 025, 028, 036, 042, 044, 050, 055, 059, 061, 064, 103, 112, 116 სარეგისტრაციო ბლოკის გეგმების, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა ნუსხისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყებისა და დასრულების თარიღის საჯაროდ გამოქვეყნების თაობაზე

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2018 წლის 05 აპრილს წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ქეთევან ზაალიშვილის №206462/17 მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ არხილოსკალოს N 040, 041, 058, 082, 087, 095, 096, 107 და სოფელ არბოშიკის N 006, 011, 022, 025, 028, 036, 042, 044, 050, 055, 059, 061, 064, 103, 112, 116 სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკების, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ არხილოსკალოს N 040, 041, 058, 082, 087, 095, 096, 107 და სოფელ არბოშიკის N 006, 011, 022, 025, 028, 036, 042, 044, 050, 055, 059, 061, 064, 103, 112, 116 სარეგისტრაციო ბლოკების გეგმის, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა ნუსხისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყებისა და დასრულების თარიღის საჯაროდ გამოქვეყნება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკა მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით, საჯარო გაცნობისათვის თვეში ერთხელ ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)), განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ფარგლებში – განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მუნიციპალიტეტში თვალსაჩინო ადგილზე, რაც შესაბამის დასახლებაში მცხოვრებ პირებს მისი გაცნობის საშუალებას მისცემს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკადასტრო რუკის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში მიმართონ სააგენტოს საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმების მოთხოვნით.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 57-ე მუხლებისა და „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე,

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

გამოქვეყნდეს საჯაროდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ არხილოსკალოსა N 040, 041, 058, 082, 087, 095, 096, 107 და სოფელ არბოშიკის N 006, 011, 022, 025, 028, 036, 042, 044, 050, 055, 059, 061, 064, 103, 112, 116 სარეგისტრაციო ბლოკებში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკების, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ არხილოსკალოს N 040, 041, 058, 082, 087, 095, 096, 107 და სოფელ არბოშიკის N 006, 011, 022, 025, 028, 036, 042, 044, 050, 055, 059, 061, 064, 103, 112, 116 სარეგისტრაციო ბლოკების გეგმის, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა ნუსხისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყებისა და დასრულების თარიღი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე,

([www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)), დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა ([www.dedoplistskaro.gov.ge](http://www.dedoplistskaro.gov.ge)) და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, ყველასათვის ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილზე (დედოფლისწყარო კოსტავას ქუჩა N44);

1. წინამდებარე გადაწყვეტილება გაეზღვანოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6**), აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი გადაბაძე

გ. გადაბაძე